სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	ასირიოლოგია / Assyriology
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	ასირიოლოგიის ბაკალავრი / Bachelor of Assyriology
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	რვა სემესტრი (240 ECTS კრედიტი). ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად საჭირო 240 ECTS კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად: 50 ESTC კრედიტი ეთმობა ჰუმანიტარული კომპეტენციის საბაზო სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს. 120 ESTC კრედიტი განკუთვნილია ძირითადი (მაპროფილებელი) სპეციალობისათვის. 60 ESTC კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა აირჩიოს სასურველი დამატებითი პროგრამა, ხოლო 10 ESTC კრედიტი განსაზღვრულია ე.წ. თავისუფალი კრედიტებისათვის. ძირითადი (მაპროფილებელი) სპეციალობის 120 კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად: 65 ESTC კრედიტი სპეციალობის ძირითადი კურსებისთვის, 45 ESTC კრედიტი სპეციალობის არჩევითი კურსებისთვის, ხოლო 10 ESTC კრედიტი განკუთვნილია საბაკალავრო ნაშრომისთვის.
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი	პროფ. ირინე ტატიშვილი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	ერთიანი ეროვნული გამოცდები
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს ფართო ჰუმანიტარული განათლების მქონე პირები, რომელთაც ექნებათ საგანმანათლებლო საფეხურის შესაბამისი კვალიფიკაცია და კომპეტენციები ასირიოლოგიაში. სტუდენტმა უნდა შეისწავლოს სულ ცოტა ორი ენა, რომელიც ლურსმულ დამწერლობას იყენებდა, ძველაღმოსავლური ისტორიის, ლიტერატურის, კულტურის საკვანძო საკითხები. მას უნდა შეეძლოს შესწავლილი ენებიდან თარგმნა, ტექსტებისთვის ფილოლოგიური, ისტორიული და ზოგადად კულტუროლოგიური ხასიათის კომენტარების მომზადება, სპეციალიზებული სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი, წერითი და ზეპირი პრეზენტაცია. კურსდამთავრებულთა მიერ შეძენილი როგორც ზოგადად

	ჰუმანიტარული, ისე ვიწრო დარგობრივი ცოდნა, პრაქტიკული უნარები და ზოგადი კომპეტენციები უზრუნველყოფს მათ დასაქმებას დიდაქტიკურ და სამეცნიერო, მთარგმნელობით, საგამომცემლო, მასმედიის სფეროებში, საგანმანათლებლო და არასამთავრობო ორგანიზაციებში და სხვ. აგრეთვე ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა პროფილით სწავლის გაგრძელების პერსპექტივას.
სწავლის შედეგები	
ა) ცოდნა და გაცნობიერება	• **განსაზღვრავს, აღწერს, მიმოიხილავს** ძველ ახლოაღმოსავლურ ენებთან, მათ ისტორიულ-კულტურულ და საზოგადოებრივ გარემოსთან დაკავშირებულ საკვანძო საკითხებს, თეორიებს, პრინციპებსა და უახლეს პრობლემატიკას. • **ამჟღავნებს** ძველი ახლოაღმოსავლური ენების (აქადურის და კიდევ მინიმუმ ერთის, შუმერულის ან ხეთურის) მორფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკისა და ფრაზეოლოგიის, აგრეთვე დამწერლობის სისტემის ცოდნას. • **მიმოიხილავს და აანალიზებს** ძველი წინა აზიის ლიტერატურის ძირითად ტიპებს, ცალკეულ მნიშვნელოვან ნაწარმოებებს, მათ ძირითად პრობლემატიკას და კვლევის თანამედროვე მდგომარეობას.
ბ) უნარები	• **თარგმნის** ძველახლოაღმოსავლური ენებიდან ქართულად სხვადასხვა პერიოდისა და ჟანრის, საშუალო სირთულის ტექსტს ლექსიკონების გამოყენებით, ამ ენებიდან ქართულად თარგმნის თავისებურებების გათვალისწინებით. • **ახორციელებს** სწავლის საფეხურის შესაბამის კვლევითი ხასიათის ნაშრომს, ხელმძღვანელის მეთვალყურეობით, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად. • კვლევითი ხასიათის ნაშრომის შესრულების პროცესში **მოიძიებს და იყენებს** ქართულ და ერთ-ერთ დასავლეთ ევროპულ ენაზე არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას, ელექტრონულ საბიბლიოთეკო რესურსებს. • კრიტიკულად **აფასებს** ასირიოლოგიის სფეროში როგორც პირველადი, ისე მეორადი საინფორმაციო წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას, სხვადასხვა მეცნიერულ მოსაზრებას, ჰიპოთეზასა და თეორიას და **აყალიბებს** საკუთარ პოზიციას. • სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციისას, ასირიოლოგიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემის პროცესში ეფექტიანად **იყენებს** ინფორმაციულ და კომუნიკაციების ტექნოლოგიებს. • **მონაწილეობს** ასირიოლოგიასთან დაკავშირებულ **დისკუსიაში, მსჯელობს** არგუმენტირებულად და თანმიმდევრულად ქართულ ენაზე, შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით.

გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	• **აღიარებს და იცავს** პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს; • **ზრუნავს** თავის აკადემიურ და პროფესიულ განვითარებაზე, **ამჟღავნებს** დამოუკიდებლად სწავლის, თვითორგანიზებისა და დროის მართვის უნარს; • **ავლენს** ნაცნობ და უცნობ (არაპროგნოზირებად), მათ შორის ინტერდისციპლინურ და ინტერკულტურულ გარემოში დროისა და შრომის ორგანიზების უნარს.
სწავლება-სწავლის მეთოდები	სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, სემინარის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, თარგმანის, საბაკალავრო ნაშრომის, დასკვნითი გამოცდის და სხვ. ფორამატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, მასალის დაკონსპექტება, ანალიზი და სინთეზი, ახსნა –განამატრებითი მეთოდი, ჯგუფური მუშაობა და სხვ.)
შეფასების სისტემა	სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებითითვალისწინებს: ა) მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას; ბ) შუა სემესტრულ რეიტინგულ შეფასებას; გ) სემესტრის დასკვნითი გამოცდის შეფასებას, რაც დეტალურად ასახულია შესაბამის სილაბუსებში. შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას: ა) (A) ფრიადი –შეფასების 91-100 ქულა; ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა; არსებობს ორი უარყოფითი შეფასება: ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება; ზ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არაუადრეს 5 დღისა. დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით გამოცდაზე მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული ქულათა რაოდენობა (და არა დასკვნითი გამოცდის ქულები) ემატება გამოცდამდე დაგროვილ ქულათა რაოდენობას და ორივე ერთად ქმნის კურსის

	საბოლოო შეფასებას. დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა: სტუდენტს სემესტრის განმავლობაში დაგროვილი უნდა ჰქონდეს არანაკლებ 21 ქულისა. გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდნტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების ნახევარს. თუ კურსის საბოლოო შეფასება 50-ს არ აღემატება (0-50 ქულაა), ფორმდება F– 0 ქულა. შესაბამისად, სასწავლო კურსის საბოლოო მინიმალური დადებითი შეფასება 51 ქულაა. ერთი და იმავე სავალდებულო საგანში სამჯერ F შეფასების მიღება წარმოადგენს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველს. ამ შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს მობილობით. სასწავლო კომპონენტი (საბაკალავრო ნაშრომი) ფასდება საჯარო დაცვაზე, სადაც სტუდენტი დაიშვება ნაშრომის ხელმძღვანელის სათანადო დასკვნისა და საბაკალავრო ნაშრომის Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით გატარების შემდეგ. საბაკალავრო ნაშრომის შეფასების მნიშვნელოვანი ნაწილია დარგის სპეციალისტის რეცენზია (მაქს. 60 ქულიდან მინიმუმ 31 ქულის მიღების გარეშე საჯარო დაცვაზე სტუდენტი პრეზენტაციით ვერ წარსდგება) და სტუდენტის მიერ კვლევის შედეგების ზეპირი პრეზენტაცია დაცვის კომისიის წინაშე (მაქს. 40 ქულიდან მინიმუმ 20 ქულის მიღება აუცილებელია). საბაკალავრო ნაშრომის საბოლოო შეფასება წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და საბაკალავრო დაცვის კომისიის შეფასების ჯამს. საბაკალავრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და სტუდენტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება, თუ მის მიერ მიღებული საბოლოო შეფასება 51 ან მეტი ქულის ტოლია. საბაკალავრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია.
დასაქმების სფეროები	კურსდამთავრებულს შეუძლია: • დასაქმდეს ჰუმანიტარული მეცნიერებების, კულტურისა და განათლების სხვადასხვა სფეროში (საინფორმაციო–ბიბლიოგრაფიული, სარედაქტორო); • იმუშაოს სასწავლო დაწესებულებებში, სახელმწიფო სტრუქტურებში, არქეოლოგიურ გათხრებზე, არქივებში, მუზეუმებში, ბიბლიოთეკებში, ტურისტულ ორგანიზაციებში, ადმინისტრაციულ სტრუქტურებსა და ორგანიზაციებში, გამომცემლობაში, ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალურ სასწავლებლებში;

	• იყოს ექსპერტი ორიენტალური სიძველეების განხრით.
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სწავლის წლიური საფასური საქართველოს მოქალაქე სტუდენტებისთვის შეადგენს 2250 ლარს.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	პროგრამის პერსონალი: პროფ. ირინე ტატიშვილი, ასოც. პროფ. ნინო სამსონია, ასოც. პროფ. მაია ღამბაშიძე, პროფ. ლევან გორდეზიანი, მოწვეული მასწ. ოთარ გაბუნია
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სამეცნიერო და საგანმანთლებლო ღონისძიებების ჩატარებას.
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	ასირიოლოგია იშვიათი და სამეცნიერო-კვლევით სამუშაოზე ორიენტირებული დარგია, რომელიც ყველა წამყვან უნივერსიტეტშიც კი არაა წარმოდგენილი. თბილისის უნივერსიტეტში შესაბამისი კათედრა თავდაპირველად ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით დააფუძნა მიხაკო წერეთელმა. საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე თსუ-ში გრიგოლ გიორგაძის ხელმძღვანელობით აღდგა კათედრა და შეიქმნა შესაბამისი სასწავლო პროგრამები.